

ვამტკიცებ:
სკოლის დირექტორი
ალ.ჯავახიშვილი
02.10.23 წ.

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის გამოყენების წესი

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი საზოგადოების მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, რადგან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში ეფექტურად და ინტენსიურად უწყობს ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ინფორმაციული სიჭარბის ეპოქაში თვითრეალიზაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი და მართალი ინფორმაციის მოძიების უნარის მქონე ახალგაზრდობის აღზრდის ხელშესაწყობად სკოლა „ალბიონში“ ფუნქციონირებს კომპიუტერული აპარატურით აღჭურვილი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია.

ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები:

1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის ძირითადი მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა და ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა.
2. ლაბორატორიით სარგებლობის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - მოსწავლემ გააცნობიეროს კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის სოციალური, ეთიკური, გარემოს დაცვასთან და ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები;
 - მოსწავლეს შეეძლოს კომპიუტერული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის, საყოფაცხოვრებო და რეალური ვითარების დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას;

- მოსწავლე ფლობდეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ციფრულ საშუალებებს;
- მოსწავლე ფლობდეს ალგორითმულ აზროვნებას. შეეძლოს მისი გამოიყენება სხვა მეცნიერებებში, ლოგიკური კავშირების/ზმების დასანახად;
- მოსწავლე ფლობდეს კვლევის ციფრულ საშუალებებს (იგულისხმება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან მოძიება, შენახვა, დამუშავება, ანალიზი და ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება);
- მოსწავლე ფლობდეს ციფრული პროდუქტის შესაქმნელ საშუალებებს
- შეეძლოს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება/მონაწილეობა თანაკლასელთა/თანასკოლელთა პრაქტიკული და თეორიული უნარების განვითარების წარმოსაჩენად;
- ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენებით ხელი შეეწყოს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას და სასწავლო პროცესში ჩართულობის გაძლიერებას;

ლაბორატორიით სარგებლობის ძირითადი პრინციპებია:

- მოსწავლეთა თანასწორუფლებიანობა;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- უსაფრთხოება
- ლაბორატორიაში არსებული ტექნიკით სარგებლობა, რომელიც განპირობებულია საქმიანი მიზნებით, შეუზღუდავია მასწავლებლებისათვის და სკოლის სხვა თანამშრომლებისათვის გაკვეთილებიდან თავისუფალ დროს.

სკოლის ლაბორატორიით სარგებლობა თანაბრად უნდა იყოს ხელმისაწვდომი სკოლის ყველა მოსწავლისათვის.

ლაბორატორიაში დანერგილია მოსწავლეებისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბლოკირების საშუალება.

ლაბორატორიაში არსებული სასკოლო ინვენტარის მოვლა-პატრონობა:

1. დაუშვებელია ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის დაზიანება;
2. დაუშვებელია ლაბორატორიაში არსებული ინვენტარის ლაბორატორიიდან გატანა პასუხისმგებელი პირის ნებართვის გარეშე;
3. დაუშვებელია უნებართვოდ და მასწავლებლის გარეშე, მოსწავლის მიერ ლაბორატორიით სარგებლობა.

ლაბორატორიის აღჭურვილობა

1. ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობებით და გამიზნულია სასწავლო პროცესში მოსწავლეების თეორიული ცოდნის მიღებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. აგრეთვე, სკოლის თანამშრომელთა მიერ მათი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის.

2. ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით. ის გამიზნულია საგაკვეთილო, სადემონსტრაციო და საგამოცდო მიზნებისთვის.

3. კომპიუტერით სარგებლობისას დაშვებულია:

ა) ტექსტის შეყვანა და რედაქტირება;

ბ) ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;

გ) ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;

დ) ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;

ე) სასწავლო პროგრამებზე მუშაობა;

ვ) დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით;

ზ) სკოლის ვებ-გვერდით სარგებლობა. (albion.ge)

თ) ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების შექმნა ან/და გამოყენება;

4. კომპიუტერთან მუშაობისას აკრძალულია:

ა) კომპიუტერში რაიმე პროგრამული ფაილის ჩაწერა და წაშლა;

ბ) კომპიუტერის გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის, ან არასასწავლო დანიშნულებით;

გ) კომპიუტერის გაუმართავად მუშაობის შემთხვევაში, ხარვეზის თვითნებური გასწორება.

დ) კომპიუტერის დაზიანების შემთხვევაში მშობელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუ იგი გამოწვეულია მოსწავლის დაუდევრობით ან განზრახ ქმედებით.

IT ლაბორატორიის ხელმძღვანელი

1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიას ხელმძღვანელობს მენეჯერი, რომელიც ვალდებულია წინამდებარე წესი გააცნოს ლაბორატორიის თითოეულ მომხმარებელს.

2. ლაბორატორიის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

ა) უზრუნველყოს სკოლის ისტ ლაბორატორიის მოვლა-პატრონობა და დაიცვას უსაფრთხოების წესები;

ბ) მასწავლებლებთან შეთანხმებით შეადგინოს ლაბორატორიაში მუშაობის გრაფიკი.

- გ) დახმარება გაუწიოს საგნის მასწავლებელს ლაბორატორიაში გაკვეთილის ჩატარების დროს;
- დ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სხვადასხვა საგნების სწავლებაში გამოყენების ორგანიზაცია.
- ე) მასწავლებლებთან ტრენინგების ჩატარება ისტ გამოყენების თაობაზე სასწავლო პროცესში.
- ვ) საგნების მასწავლებელთათვის დახმარების გაწევა ისტ და ინფრაწითელი დაფის გამოყენებით გაკვეთილების ჩასატარებლად.
- ზ) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით დაინტერესებულ მოსწავლეებთან მუშაობა, მათი ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში და სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.
- თ) ინტერნეტრესურსების მოძიება და საგნების მასწავლებლებთან ერთად მისი სასწავლო პროცესში გამოყენების ორგანიზაცია.
- ი) არასაგაკვეთილო დროს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ხელის შეწყობა კომპიუტერთან მუშაობის ჩვევების გამოსამუშევრებლად.

ყურადღება!

- მასწავლებელი/მოსწავლე ვალდებულია დაიცვას ლაბორატორიით სარგებლობის წესები;
- განსაკუთრებული დარღვევისათვის მასწავლებელს/მოსწავლეს შეიძლება დაეკისროს სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა.